iAtelier: ტექნოლოგიები და ინოვაციური გამოცდილება ციფრული დიზაინის, ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლებისთვის

ოქტომბერი, 2020 - მაისი, 2021

კონკურსის გამოცხადება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და ციფრული დიზაინის წარმომადგენლებისთვის აცხადებს ღია კონკურსს **iAtelier** პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამა ხორციელდება ცენტრის მიმდინარე პროექტების ფარგლებში: *CRAFTING EUROPE*, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის შემოქმედებითი ევროპის პროექტით და „ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის", რომელიც დაფინანსებულია USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ.

iAtelier - ლიმერიკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (**Limerick Institute of Technology (LIT)** და ლიმერიკის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის (**Limerick School of Art & Design (LSAD)** მიერ შემუშავებული პროგრამაა, რომელიც ხორციელდება *CRAFTING EUROPE* პროექტის მონაწილე რვა ქვეყანაში.

პროგრამა მიმართულია ტრადიციული რეწვის ინოვაციური პროდუქციის შესაქმნელად და გთავაზობთ უფასო ტრენინგებსა და წვდომას თანამედროვე ტექნოლოგიების დანადგარებზე. ასევე, იძლევა გამოცდილ დიზაინერებთან, ოსტატებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას.

iAtelier - ის მიზანია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ადაპტაცია და გამოყენება თანამედროვე რეწვის ინდუსტრიაში. **iAtelier** ხელს უწყობს ნაკეთობების შექმნის ინოვაციურ ფორმებს, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიით წარმოებას რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციულ პრაქტიკასთან აერთიანებს.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია „ფაბლაბ ილიაუნი". https://iliauni.edu.ge/ge/studentebistvis/fablabi

პროგრამაში მონაწილეების რაოდენობა შეზღუდულია, სულ შეირჩევა 20 მონაწილე.
პროგრამა ხორციელდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი - ორდღიანი სემინარი SANDBOX EVENT

სემინარი ჩატარდება 2020 წლის 29 - 30 ოქტომბერს ფაბლაბ ილიაუნში.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების სრული დაცვით.

WWW.CRAFTINGEUROPE.COM

WWW.CRAFTINGEUROPE.COM

სემინარზე მონაწილეები გაეცნობიან ლაზერული ჭრის, 3D ბეჭდვის, პროგრამირებადი ჩარხის (CNC) და სხვა ციფრული ტექნოლოგიების წარმოების პროცესს. ღონისძიების მიზანია წაახალისოს ციფრულ დიზაინერებსა და რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა.

მეორე ეტაპი - რეზიდენციების ორი სერია

SANDBOX EVENT -ის დასრულების შემდგომ 20 მონაწილისგან შემდგარი ორკაციანი გუნდები (სულ 10 გუნდი), რომელიც ციფრულ დიზაინერს და ხელოვანს/ოსტატს აერთიანებს, წარადგენენ ერთობლივი პროექტის კონცეფციას. მეორე ეტაპისთვის შეირჩევა 5 გამარჯვებული პროექტი (5 გუნდი). თითოეული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ორ რეზიდენციაში, რომლებიც ასევე ჩატარდება მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია - ფაბლაბ ილიაუნში.

რეზიდენცია 1 - 'ექსპერიმენტორიუმი'
ჩატარების თარიღებია: 19-20 ნოემბერი; 26-27 ნოემბერი; 3-4 დეკემბერი, 2020 წ.

პროგრამის პირველ ეტაპზე გამარჯვებულ 10 მონაწილეს (5 გუნდს) სამი კვირის განმავლობაში კვირაში ორჯერ ექნებათ სრული წვდომა ფაბლაბ ილიაუნის აღჭურვილობასთან, სადაც მენტორის დახმარებით შექმნიან პირველად პროტოტიპებს. რეზიდენცია მიეძღვნება ექსპერიმენტებს. რაც მონაწილეებს საშუალებას მისცემს უკეთ გაეცნონ დანადგარების შესაძლებლობებს. პირველი რეზიდენციის დასრულებისთვის გუნდებმა უნდა წარმოადგინონ კონცეპტუალური პროტოტიპების სერია.

რეზიდენცია 2 - 'პროდუქცია'
მეორე რეზიდენცია ჩატარდება 2021 წლის გაზაფხულზე (თარიღები დაზუსტების პროცესშია)

პირველი რეზიდენციის შემდგომ მონაწილეებს ექნებათ 4 თვე, რათა თავიანთი ექსპერიმენტები აქციონ საბოლოო საწარმოო დიზაინად. მეორე რეზიდენციის მიმდინარეობისას 3 კვირის განმავლობაში, კვირაში ორჯერ იმუშავებენ ფაბლაბ ილიაუნში. რეზიდენციის დასრულებისთვის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ფუნქციონალური პროტოტიპების სერია.

რეზიდენციების პერიოდში გუნდები უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭირო მასალებით.

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ გრაფიკული (ციფრული) დიზაინერი, ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენელი და

გაქვთ ტრადიციული რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნის ან ციფრული დიზაინის სფეროში მუშაობის გამოცდილება. თითოეული სფეროდან შეირჩევა 10-10 მონაწილე.

აპლიკანტი ტრადიციული რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სფეროდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს ტრადიციული რეწვის ან დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობის სტუდენტი ან დამწყები ოსტატი ან სფეროში მოღვაწე მცირე საწარმოს წარმომადგენელი;
- იყოს დაინტერესებული ციფრული წარმოების ტექნოლოგიებით (გამოცდილება ამ სფეროში არ მოეთხოვება).

აპლიკანტი ციფრული დიზაინის სფეროდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს ციფრული დიზაინის სპეციალობის სტუდენტი, ახალკურსდამთავრებული, დამწყები დიზაინერი ან მცირე საწარმოს წარმომადგენელი;
- ჰქონდეს მუშაობის: Adobe Illustrator, Autocad, Vectorworks, Rhino, Sketchup, Fusion ა.შ. გამოცდილება;
- იყოს დაინტერესებული ტრადიციული რეწვის პროცესებით (ნამუშევრების შექმნის გამოცდილება საჭირო არ არის);
- ჰქონდეს ციფრული წარმოების გამოცდილება (პარამეტრული პროგრამების ან პროგრამირების ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად).

შერჩეულ კანდიდატებს მოეთხოვებათ:

- გუნდური მუშაობა, საკუთარი იდეების და ნამუშევრების ნათლად წარმოჩენა და პროექტის ხილვადობის მხარდაჭერა;
- ერთობლივი პროექტის მომზადება და წარდგენა;
- ნამუშევრების შექმნა.

შერჩეული მონაწილეები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

როგორ გავაკეთო განაცხადი?

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა შევსებული განაცხადის ფორმა **2020 წლის 15 ოქტომბრის** ჩათვლით უნდა გამოაგზავნოთ ელ. ფოსტაზე info@gaccgeorgia.org (დანიშნულების ველში მიუთითეთ: iAtelier).

WWW.CRAFTINGEUROPE.COM

განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან www.gaccgeorgia.org
ან მიყევით ბმულს:
https://docs.google.com/forms/d/1XAQXLiO6w9cdNvQVNUX8WAhCQiNZ4NiCFZwn9qehn64/edit?fbclid=IwAR2kDZewA4KLIa-dSlS_K-uXaPbvQmDSWIpgC9NWYfzpvn-1Sy23nI_cm8E

განაცხადის ფორმას თან დაურთეთ შემდეგი დოკუმენტები:

- CV PDF ფორმატში (მაქს. 2 გვერდი)
- სამოტივაციო წერილი რომელიც აღწერს პროგრამის შესატყვის გამოცდილებას, ტრენინგებს, განათლებას, თქვენს ინტერესებს და ამბიციებს; როგორ დაეხმარება პროგრამაში მონაწილეობა თქვენს პროფესიულ განვითარებას (მაქს.500 სიტყვა)
- პორტფოლიო - PDF ბოლოდროინდელი პროექტების 4 მაგალითი მაღალი რეზოლუციის ფოტოებით, სათანადო ბმულებითა და აღწერილობით.

პროგრამაში მონაწილეობა უფასოა, მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე.
შერჩეულ აპლიკანტებს პასუხები ეცნობებათ 2020 წლის 20 ოქტომბრამდე.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი, 0108, საქართველო
ელ.ფოსტა: info@gaccgeorgia.org ტელ: (+995 32) 2931 335
საკონტაქტო პირი: ლიკა იმერლიშვილი (მობ.: 555 455 843); თეა გოცირიძე (მობ.: 593 397 153)

CRAFTING EUROPE

პროექტი CRAFTING EUROPE ხორციელდება ევროპის მასშტაბით ტრადიციული რეწვის სექტორის შესაძლებლობების განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. პროექტის ძირითადი მიზნებია ევროპის 17 ქვეყანაში, რეწვის სფეროს შეფასების მიზნით, ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი სისტემური გამოწვევების დაძლევა, ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვა, სექტორისთვის ახალი გაზრებისა და შესაძლებლობების შექმნა.

„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“ *- პროექტის მიზანია ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და დიზაინის სფეროს წარმომადგენლებისთვის არაფორმალური განათლების ფიზიკური და ელექტრონული პლატფორმების ჩამოყალობება, რომელიც მიმართული იქნება პროფესიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ოსტატების, ხელოვანების და დიზაინერების სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებაზე და ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სფეროს ბიზნესის მდგრადობის უზრუნველყოფაზე.*

USAID THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.

WWW.CRAFTINGEUROPE.COM